საქართველო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“

ჩოხატაური, დუმბაძის ქ. №2 ტელ: 595-94-74-14

№ 147 09 სექტემბერი 2016 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისის თავმჯდომარეს
ბატონ: დ. შარაშიძეს

ბატონო დავით,
მ/წლის თქვენი N196 25.08.2016 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ ინფორმაციას საბავშვო ბაღებში ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებასთან დაკავშირებით . ა(ა)იპ სსს დაწესებულება დღეის მდგომარეობით აერთიანებს 16 საბავშვო ბაღს. ყველა საბავშვო ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი იწყება 19 სექტემბერს გარდა ხიდისთავის საბავშვო ბაღისა.(როგორც მოგეხსენებათ ხიდისთავში წელს ახალი საბავშვო ბაღი აშენდა , ამ ეტაპზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები)

სურსათის უვნებლობის კუთხით ყველა საბავშვო ბაღისთვის შეძენილია სამაცივრე თერმომეტრები, სოფ: გოგოლესუბნის, შუა ამაღლების,ზოტის და ერკეთის საბავშვო ბაღების სამზარეულოში მოეწყო წყალგამწოვი ტრაპები. ყველა საბავშვო ბაღში დასრულდა მწერების გან დამცავი ბადეების მოწყობა და მექანიკურ გამწოვებში ელექტრო ვინტილატორების დამონტაჟება. N2 ბაგა-ბაღის სამზარეულოში გამოიკრა „პლასტიკატი“ ასევე მოწესრიგდა პერსონალის საპირფარეშო. ბუკნარისა და ქვენობანის საბავშვო ბაღებში სრულად მოწესრიგდა წყალგაყვანილობის სისტემა. ქვენობანში დაიდგა ახალი წყლის ავზი. ბუკნარის საბავშვო ბაღში საღმზდელო ჯგუფში შეიღება კედელი და იატაკი.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საბავშვო ბაღში მოხდება სანიტარულ-ჰიგიენური დასუფთავება.(ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ)
სოფ:ქვენობანი, ბუკნარი და ბასილეთი მომარაგდა სამზარეულოს კარადებით და მაგიდებით. საჭამიასერის ბაღში გარემონტდა სააღმზრდელო ჯგუფი. თბობის სეზონისთვის მიმდინარეობს მზადება. 15 ოქტომბრამდე ყველა საბვშვო ბაღი იქნება შეშით უზრუნველყოფილი .

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
რეგისტრაციის № 421
9 09 2016 წ.
ფურცლის რაოდენობა 2

მ/წელს დაგეგმილია 3 ახალი საბავშვო ბაღის გახსანა,სამებაში, განახლებაში და ხევში.ახალგასახსნელი საბავშვო ბაღებისთვის ჩატარდა ტენდერი -ავეჯზე,რბილ ინვენტარსა და საოჯახო ტექნიკაზე.

პატივისცემით

ა(ა) იპ დაწესებულება „მომავლის“
დირექტორი ნინო ბარამიძე